

შპს "გემუანი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში)

	31.12.2018	31.12.2019
ფული და მისი ექვივალენტები	3 369,00	7 464
სავაჭრო მოთხოვნები	136 404,00	293 750
ს უ ლ მიმდინარე აქტივები	139 773,00	301 213,93
ნახევარფაბრიკატები (გაყინული პროდუქცია)	136 526,00	163 888
მზა პროდუქცია	206 601,00	129 389
სხვა მიმდინარე აქტივები	43 044,00	95 870
სულ მარაგები	386 171,00	389 146,77
ძირითადი საშუალებები	1 939 593,00	1 917 754
არამატერიალური აქტივები	15 528,00	13 059
ბიოლოგიური აქტივები	508 975,00	508 975
ს უ ლ გრძელვადიანი აქტივები	2 464 096,00	2 439 788
ს უ ლ აქტივები	2 990 040,00	3 130 148
სავაჭრო ვალდებულებები	232 830,00	277 212
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	16 872,00	75 139
საგადასახადო ვალდებულებები	7 151,00	-38 610
ს უ ლ მიმდინარე ვალდებულებები	256 853,00	313 741
გრძელვადიანი სესხები	1 817 173,00	1 734 616
ს უ ლ გრძელვადიანი ვალდებულებები	1 817 173,00	1 734 616
ს უ ლ ვალდებულებები	2 074 026,00	2 048 357
საწესდები კაპიტალი	3 933 923,52	4 912 780
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-3 017 909,00	-3 830 988
ს უ ლ კაპიტალი	916 014,00	1 081 792
ს უ ლ კაპიტალი და ვალდებულებები	2 990 040,00	3 130 148

შპს "გემუანი"-ს დირექტორი
ნონა თორდია

მთ. ბუღალტერი
ირმა ფაჩულია



შპს "გემუანი"

მოგება - ზარალის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ლარში

	2018 წ.	2019 წ.
შემოსავლები რეალიზაციიდან	226 511,00	159 370
ს უ ლ საოპერაციო შემოსვლები	226 511,00	159 370
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	181 209,00	89 616
პირდაპირი ხელფასი საწარმოში	106 712,00	39 410
პირდაპირი ხელფასი სოფლის მეურნეობიდან	18 000,00	12 875
ელ ენერგიის ხარჯი	40 570,00	36 728
პლანტაციის ხარჯი	23 371,00	13 835
ცვეთა და ამორტიზაცია საწარმოში	164 651,00	52 666
ცვეთა და ამორტიზაცია სოფლის მეურნეობაში	74 848,00	8 250
სულ საოპერაციო ხარჯები	609 361,00	253 380
შრომის ანაზღაურება	106 222	209 148
საკონსულტაციო მომსახურეობის საფასური	35 542,00	62 842
საიჯარო ქირა	35 839,00	36 536
რეკლამის ხარჯი	19 234,00	16 436
ბანკის მომსახურეობის ხარჯი	3 432,00	60 029
ცვეთა და ამორტიზაცია	6 083,00	106 410
სხვა საერთო ხარჯი	56 685,00	33 349
ს უ ლ ადმინისტრაციული ხარჯები	263 037,00	524 749
ს უ ლ საოპერაციო მოგება ზარალი	-645 887,00	-618 759
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-218 740,00	-147 366
საპროცენტო ხარჯი	-184 696,00	-184 141
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	335 100,00	137 187
ს უ ლ არასაოპერაციო მოგება ზარალი	-68 336,00	-194 320
მოგება ზარალი	-714 222,00	-813 079

შპს "გემუანი"-ს დირექტორი
ნონა თორდია

მთ. ბუღალტერი
ირმა ფაჩულია

(Handwritten signatures)



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „გემუანი“ დარეგისტრირებულია მისამართზე: ქ.თბილისი. აბაშიძის ქ. N 89. ქარხანა მდებარეობს ზუგდიდის რაიონში, სოფ. ზედა ეწერში. შპს გემუანის საქმიანობის სფეროა ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება და ჩიფსების დამზადება. ასევე ფლობს პლანტაციებს ზუგდიდის რაიონში. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა საშუალოდ 37 თანამშრომელს.

2. შედგენის საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტ.) საფუძველზე.

3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა. ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

4. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, უცხოურ ვალუტაში მომზადებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქ. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამ თარიღისთვის დადგენილ კურსზე. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო დღის კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის დღეს არსებული კურსით). საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით

მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. აქტივს ერიცხება ცვეთა მას შემდეგ, რაც შესაძლებელია მისი გამოყენება.

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ბალანსში წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურეობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ერიცხება ცვეთა და იგი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება.

7. იჯარა

იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. მასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია, როგორც გაწეული ხარჯი.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები ისეთი აქტივებია, რომლების განკუთვნილია გასაყიდად, ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურეობის გასაწევად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. აქტივების ღირებულება შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია შემენასთან, ადგილზე მიტანასთან გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, რომელშიც იმყოფება.

9. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

10. სასესხო ვალდებულებები

სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარებულია ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. , გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს

დანახარჯი მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას. მაშინ ეს დანახარჯი კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში.


11. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, დამფუძნებლის ფაქტობრივი შენატანის მიხედვით.

12. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მასში გათვალისწინებულია ფასდათმობები. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით.

შპს „გემუანი“-ს დირექტორი
ნონა თორდია



გემუანი
401954328
GEMUANI LTD
შპს გემუანი

მთ. ბუღალტერი
ირმა ფაჩულია

